



ამდის, ნათევზა!

ჩემი საქართველო



№90, მაისი, 2024

რუსთავის აკადემიური ქალაქის საგანმანათლებლო-შემოქმედებითი გაზაფხულის მათთვის, ვისაც ცოდნის გარდასცემის სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!



ღმერთმა დალოცოს რუსთავის აკადემიური ქალაქის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები

ჩილაძე სერგეი სერგაი

აკადემიკოსი გარი ჩაუიკა

აღზრდა რამდენიმე ძირითადი კომპონენტის რთული უნარდნობა

ახალგაზრდის აღზრდის ძირითადი კერა ოჯახია. სასწავლებელში მისვლისთანავე აღზრდის მეორე მძლავრი კერაც წარმოიქმნება – ეს არის სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი... აღზრდის ეს ძირითადი კერები თანდათანობით აყალიბებს მოზარდს, ამზადებს მას მომავალი მოქალაქეობრივი ცხოვრებისათვის, ფიზიკური და სულიერ-გონებრივი წვრთნის პროცესზე დიდ ზეგავლენას ახდენს გარემომცველი პირობები (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, გაერთიანებები, სპორტული კლუბები, ქუჩა...).

მოზარდის ფორმირებაში ერთ-ერთი წამყვანი როლი განეკუთვნება თანაკლასელს, მეგობარს... დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვისთან მეგობრობს იგი. ძველი რომაული გამოთქმის გახსენება სწორედ აქ არის უპრიანი: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, რა კაციცა ხარო“.

აღზრდა რამდენიმე ძირითადი კომპონენტის რთული უნარდნობა. ესენია: იდეურ-პოლიტიკური, პატრიოტულ-ინტერნაციონალური, ზნეობრივი, მხატვრულ-ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური.

ახალი, სრულყოფილი საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ, შრომითსა და ზნეობრივ აღზრდას.

ზნეობა კლასობრივი კატეგორიაა. ჩვენს საზოგადოებაში მაღალზნეობრივი ადამიანები უნდა იზრდებოდნენ. დღევანდელი სკოლისა და ოჯახის ამოცანაა, აღზარდონ ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები, რომლებშიც შეხამებული იქნება შრომისმოყვარეობის, პატიოსანების, თავაზიანობის, თავმოყვარეობის, ურთიერთპატივისცემისა და სხვა კეთილსახიერი უნარ-ჩვევები.

ადამიანის ზნეობრივი ფორმირება მისი დაბადების დღიდანვე იწყება. ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში უყალიბდება ბავშვებს საწყისი ზნეობრივი ჩვეულებანი და წარმოდგენები, ანუ ელემენტარული ზნეობრივი უნარ-ჩვევები, მათი სწორად, მართებულად განვითარების მიზნით ჩვენ, მეცნიერ-პედაგოგებსა და, საერთოდ, განათლების დარგის მუშაკებს, გვმართებს რთული, შრომატევადი და მოთმინებითი მუშაობა,

რადგან ზნეობრივი აღზრდა გულისხმობს ბევრი ერთმანეთზე გადაჯაჭვული ამოცანის გადამწყვეტას, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავებას, ყოველმა ყმაწვილმა ყველაფერზე მაღლა უნდა დააყენოს ადამიანის პიროვნება, უნდა შეიგნოს, რომ სიცოცხლის აზრი მართო პირადი კეთილდღეობისათვის ბრძოლა როდია, არამედ საზოგადოებისა და სხვა ადამიანთა დახმარება –მათთვის სარგებლობის მოტანა.

მაღალზნეობრივი ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაში დიდ როლს ასრულებს პირადი მაგალითი. საერთო-სახალხო საქმისადმი თავდადება, პრინციპულობა და მაღალზნეობრივი ყოფა-ქცევა ადამიანებთან ურთიერთობაში, დევიზის - „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ გატარება გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდაში. აქაც, ისე როგორც შრომასა და ბრძოლაში, ხელმძღვანელის პირადი მაგალითი გადამწყვეტია.

საკმაოდ ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა აღზრდა მამა-პაპათა საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე. ყოველმა მოზარდმა უნდა იცოდეს და პატივს სცემდეს სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებულ ადამიანებს.

აღზრდის პროცესში ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ მომავალი მოქალაქე ფსიქოლოგიურად მოვამზადოთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი დამოკიდებულება ამონებს ადამიანის ცხოვრებისეულ აქტიურობას, მის შემოქმედებით საქმიანობას, სამშობლოს იდეებისადმი ერთგულებას.

სამშობლოს იდეებისათვის ბრძოლა კი შეუძლებელია ზნემაღალი პიროვნების აღზრდის გარეშე. ზნეობრივი აღზრდა სრულყოფილი მამაა, როცა ითვალისწინებს საზოგადოების კეთილდღეობას, ემსახურება სამართლიანობის, მშვენიერებისა და სიკეთის ინტერესებს... აღზრდელი მასწავლებელი თვითონ უნდა იყოს სალი აზროვნების, ფაქიზი გრძობის, მტკიცე ნებისყოფის მქონე და მომთხოვნი, ამასთან სხვებზე მზრუნველიც. უანგარო ურთიერთობა, თანაგრძობა და სიყვარული სრულყოფილი ზნეობის უპირველესი ნიშან-თვისებაა.



GEORGIA

თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში ცოტა თუ მოიძებნება ის მკვლევარები, ვინც თავის დროზე მიზნად დაისახა გაერკვია, თუ მსოფლიოში რატომ უწოდებენ საქართველოს „გეორგიას“, ქართველებს კი „გეორგიელებს“, ხოლო რუსეთი და რიგი ქვეყნები კი – „გურჯისტანს“ და „გურჯინებს“.


ჩემთვის ნიშანდობლივი იყო ის ფაქტი, რომ 2010 წლის საქართველოს საგარეო სამინისტრომ თხოვნით მიმართა ლიტვის რესპუბლიკას, რომ საქართველოსთვის ლიტვურ ენაზე ეწოდებინათ „Georgia“ და არა „Литва“, რაზეც მათი მხრიდან მივიღეთ უარყოფითი პასუხი განმარტებით: რომ ლიტვური საზოგადოება მიეჩნევა „გურჯისტანს“ და არ აპირებს მის შეცვლას „Georgia“-ზე.

მიემართო ტერმინ „Georgia“-ს და ტერმინ „Литва“-ს წარმოშობის ისტორიას და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა. ორივე ტერმინის ისტორიას საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. როგორც ვიცით, ტერმინ „Georgia“-ს ფუძე ბერძნული წარმოშობისაა. როდის და რა მიზეზით დაარქვეს ბერძნებმა ქართველებს „გეორგიელები“?

ლეგენდის მიხედვით, პირველად ბერძნებმა საქართველოს ნაპირებს ძვ.წ.აღ.-ის XIII სკ.-ში მოაღწიეს, ოქროს საწმისისათვის, მაგრამ იმდროინდელი ბერძნები საქართველოს „კოლხიდას“ უწოდებდნენ, აქ მცხოვრებ ხალხს კი – „კოლხებს“, შავ ზღვას „პონტი-ავქსინუსს“, ანუ „ცივი ზღვას“, ხოლო, სავარაუდოდ, ტროას აღების შემდეგ ეს „ცივი ზღვა“ მათთვის „პონტიკუსინური“ ანუ „თბილი ზღვა“ გახდა. ქრისტეშობამდე ბერძენთა ურთიერთობა ქართულ, შავი ზღვისპირა ქალაქებთან ინტენსიური იყო. ისინი კოლხეთის განადგურების შემდეგ მის ადგილზე აღმოცენებულ – ეგრისთან ურთიერთობდნენ. ეგრისმა, როგორც „დამოუკიდებელმა“ ან „დამოკიდებულმა“ ქვეყანამ რომზე და შემდგომ ბიზანტიაზე VIII სკ.-ის ბოლომდე იარსება, ხოლო IX სკ.-ში ზღვისპირა საქართველოს აფხაზეთის სამეფო ეწოდებოდა. ასე, რომ ბერძნების მიერ „Georgia“ დარქმევა ნამდვილად არ მოხდებოდა კოლხეთ – ეგრის – აფხაზეთის ხარჯზე.

განვიხილოთ აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა. აქ ოდიტგანვე მიმდინარეობდა ბრძოლა სპარსეთის სახელმწიფოსთან, რომელიც თითქმის 1000 წლის განმავლობაში ძვ.წ.აღ.-ის VI სკ.-დან ახ.წ.აღ.-ის VI სკ.-მდე ცდილობდა დამკვიდრებულიყო აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც იბერიის სამეფო არსებობდა. ათასწლოვანი ბრძოლა იბერიასა და სპარსეთს შორის განპირობებული იყო იმით, რომ იბერია მდებარეობდა დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთების ცენტრალურ ნაწილში და კეტავდა ჩრდილოეთიდან მომავალ უმნიშვნელოვანეს გზებს, თანაც არა მარტო კეტავდა, არამედ, თუ დასჭირდებოდა, ხსნიდა კიდეც ამ გზებს და იქიდან გადმოჰყავდა მომთაბარე ტომები და მათთან ერთად ლაშქრავდა სამხრეთით მდებარე სომხეთის და სპარსეთის მიწებს. ეს ბრძოლა პერმანენტულ ხასიათს ატარებდა და გამარჯვება ხან ერთ და ხან მეორე მხარეს რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს „იბერია“ ერქვა, სპარსელები მის მოსახლეობას „გურჯებს“ ეძახდნენ. თანდათანობით დასახელება „გურჯები“-ს დაემატა სპარსული სუფიქსი „სტანი“ და იბერია, ივერია სპარსელებისთვის „გურჯისტანად“ გადაიქცა. თვით „გურჯ“-ის ფუძეს სპარსულში წარმოადგენს სიტყვა – „გორგ“, რაც „მგელს“ ნიშნავს. ვბერტოლდის ნაშრომში „ირანის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა“ განიხილება მონაცემები „გირკანიაზე“ და პარალელა გასული ჰეროდოტეს „ერკან“-ასთან, როგორც „მგლების ქვეყანა“. „გირკანიაში“ სპარსულ ენაში განიცადა ტრანსფორმაცია და „გორგან“-ად იქცა, ხოლო არაბულში „გურჯანად“ ან „გურჯანად“, სირიულ ენაში კი „გურჯ“ ან „გურჯან“-ად. ეს ის პერიოდია, როდესაც მიმდინარებს თითქმის 300-წლიანი ბერძნულ-სპარსული ომები. ამ ომების განმავლობაში სპარსული ტერმინი „გურჯან“ გადადის ბერძნულში, როგორც „გეორგია“. ის, რომ ბერძნებმა სპარსელებზე გვიან გაიცნეს აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებნი, ამას ადასტურებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. მხოლოდ ჩვენ, ქართველები (სომხების მცირე გამოკლებით) ვეძახით მდინარე მტკვარს – მტკვარს, ხოლო მსოფლიოს დანარჩენი ხალხები კი მტკვარს – კურუს, კურას და ა.შ. ეძახიან. სიტყვა „კურუს“ მო-

დის სპარსეთის შაჰის კიროსისაგან. თვით კიროს II იყო სპარსეთის სახელმწიფოს დამაარსებელი, აქამედინათა დინასტიის პირველი მეფე. ძვ.წ.აღ.-ის 539 წ. მან შექმნა სპარსეთის პირველი და უდიდესი იმპერია, სადაც შედიოდა: სპარსეთი, შუა აზია, წინა აზია, შუამდინარეთი. ფაქტიურად, მისი იმპერია დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ბერძნულ სამყაროს. კიროს II-ის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება იყო დაპყრობილი ხალხების კულტურულ ფასეულობათა მიღება-ათვისება, შემწყნარებლური პოლიტიკა დაპყრობილ ხალხთა რელიგიისა და ადათებისადმი. მას მიეწერება ასევე ებრაელი ერის „ბაბილონის ტყვეობიდან“ გათავისუფლება. კიროს II ერთ-ერთი ბრძოლის დროს მტკვრის ნაპირზე მოკლეს. ამის შემდეგ სპარსეთის იმპერიაში შემავალმა ყველა ხალხმა მტკვარს კიროს, კურუს, კურა უწოდა. ნათელია რომ, იმ დროს იბერია, ქართველები სპარსეთის იმპერიაში არ შედიოდნენ და სპარსელები კულტურულ-რელიგიური გავლენაც არ ჰქონდათ, სპარსულიდან მტკვარი „კურ“-ს სახელით გადავიდა ბერძნებთან, იქიდან კი მთელს იმდროინდელ ხალხებში. სწორედ ისე, როგორც „გურჯან“ ახ.წ.აღ.-ის VII-VIII სკ.-ში, იმ დროს, როდესაც ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში აქტიურდებოდა სლავი ტომები, ხოლო მათ ორგანიზებას და სახელმწიფოდ გადაქცევას ნორმანები ანუ ვარანგები ახერხებდნენ, ჩნდება პირველი კონტაქტები ვარანგ-რუსებისა და სპარსელებს შორის. როგორც ვიცით, ნორმანები (ვარანგები) ძირითადად ზღვიდან ესხმოდნენ თავს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს. VII-IX საუკუნიდან ისინი თავიანთი ბრტყელძირიანი გემებით იწყებენ ევროპული მდინარეების სიღრმეში ცურვას დაპყრობებისა და ვაჭრობის მიზნით. სწორედ ამ დროს მდინარე ვოლგასა და კასპიის ზღვის გავლით მყარდება პირველი სავაჭრო კონტაქტები ვარანგ-რუსებსა და სპარსელებს შორის. ამავე დროს ხდება ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში სიტყვა „გურჯი“-ს „ექსპორტი“. ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ XVI სკ.-ში, რუსული წყაროები,



(„ნიკოლაევის მათიანე“), ქართველებს, რომლებიც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდნენ, უწოდებს „გურჯანებს“, მათ ერთობას – „служба тамо Грузинская“ მხოლოდ მოგვიანებით, „გურჯან“-მა ტრანსფორმაცია განიცადა და რუსებისთვის „გურჯინ“-ი გახდა. შესაბამისად, როგორც სწვევია იმპერიული იდეოლოგიას, რუსეთმაც დაიწყო ტერმინ „გურჯინ“-ის კულტივირება და გავრცელება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ XX სკ.-ის 80-იან წლებში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა პროპაგანდის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ სიტყვა „გურჯინ“-მა დაიმკვიდრა საბჭოური სივრცე, მათ დაიწყეს დასავლეთ ევროპულ ენებზე გამოცემულ ლიტერატურაში, მაგალითად, გერმანიაში გამოცემული წიგნებსა და რუკებზე „Georgian“-ის ნაცვლად „Gruzinish“-ის აღნიშვნა, მაგრამ XX სკ.-ის 80-იანი წლების ბოლოს დაწყებულმა პროცესებმა, რომლის შედეგად მსოფლიო რუკაზე გაჩნდა „საქართველო“ – ამგვარ მცდელობას ბოლო მოეღო.

ასე, რომ სიტყვა „Georgia“ მრავალი ათასწლეულის განმავლობაში წარმოებულია სპარსული სიტყვა „გორგ“-იდან, რომელიც თავის დროზე სპარსელებმა იმითომ უწოდეს ქართველებს, რომ 1000 წლიანი ომების პერიოდში ვერ შეძლეს მათი დამორჩილება, ხოლო ჩვენს სახელმწიფოზე მეფე ვახტანგს „გორგასა“-ლ უწოდეს. სპარსელებს მისი „გორგასლობა“ (მგლის თავა) ბუნებრივად მიაჩნდათ. მით უმეტეს, რომ ვახტანგის დედა – საგდუხტი წარმოშობით რანიდან (სპარსეთიდან) იყო. იმ პერიოდში, იმისათვის, რომ სპარსელებს თავიანთი გავლენა მაქსიმალურად გაეგრძელებინათ და განემტკიცებინათ დაპყრობილ პერიფერიებზე, ყველანაირად ცდილობდნენ მათ მიმართ კეთილგანწყობილი პირები დაენიშნათ ისეთ პრობლემურ სამეფოებში, როგორც იბერია იყო. ასე მოხდა ქართველებთან მიმართებაში. სპარსელებმა

V სკ.-ის I ნახევარში ვახტანგს ხელი შეუწყვეს, რომ ქართლის მეფე გამხდარიყო, (ზედმეტი გარანტიებისთვის მიათხოვეს მირდატს სპარსი საგდუხტი და ვახტანგის მეუღლეც – ბაღდუხტის სპარსი იყო). რომ არა ქართველთა დაუმორჩილებელი სული ვახტანგს თავისუფლად შეეძლო მშვიდად და წყნარად ემართა თავისი სამეფო სპარსული იმპერიის ხარჯზე. როგორც ჩანს, ვახტანგის (და არა მარტო მის) დაუცხრომელ სულს კვებავდა მებრძოლ ქართველთა საბრძოლო, დაუმორჩილებელი სულისკვეთება. ყველასთვის ცნობილია: მგელს რაც არ უნდა მაძლარი და კომფორტული პირობები შეუქმნა, მისი ინსტინქტი „თავისუფლებისა“ იმარჯვებს ყველაფერზე. სპარსელებს, 1000 წლოვანმა ბრძოლამ ქართველთა წინააღმდეგ, უკანახა, რომ ეს ხალხი (მგლის ინსტინქტის მატარებელი) მგელთან გაეიგივებინათ. მგელთან, რომლის სწრაფვა თავისუფლებისადმი თავდადებისა და თავგანწირვის ტოლფასია.

ხოლო რაც შეეხება „გეორგიანის“ (მინის მოყვარული, მინის მუშა) ახსნას, ყოველივე ზემოთ განხილული ტერმინის ამ ახსნას აბათილებს. ყველაზე დიდი არგუმენტი იმისა, რომ ეს ასე არ არის, მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ ბერძნებს თუ ჩვენი მიწათმოქმედების ტექნოლოგია და აქ მოყვანილი პროდუქცია გაუკვირდათ, მაშინ რაღა უნდა ექნათ ეგვიპტისა და სკვიტების სტეპებში მოყვანილი აუარება ხორბლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დანახვაზე, რომელიც ასობით წლის განმავლობაში გაჰქონდათ.

მინის მუშები ბერძნებისთვის, რომაელებისათვის, ბიზანტიელებისათვის, პირველ რიგში, იყვნენ ხალხები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ აფრიკის, იტალიის, ესპანეთის (იბერია) და შავი ზღვის ჩრდილოეთ სტეპებში. მათ ქართველებთანაც ჰქონდათ ინტენსიური ვაჭრობა, მაგრამ ამ ვაჭრობაზე არ იყო დამოკიდებული მათი (დადი თუ მცირე ხმელთაშუაზღვისპირა ხალხების) ყოფა. თუ კარგად გავისვენებთ საქართველოს ბუნებას, ნათლად დავინახავთ, რომ ქართველები ჩვენს ისტორიას ვჭედავდით, მთიან ტყიან და ხეობებით დაკბილულ ადგილებში. მხოლოდ მცირე გამოჩნდება იყო, როდესაც მყარდებოდა ხანმოკლე მშვიდობა, ქართველი იწყებდა მთიდან ბარში ჩამოსვლას და მიწათმოქმედების ინტენსიურ განვითარებას. XII საუკუნეშიც კი, მაშინ, როდესაც დავით აღმაშენებელს მოგებული ჰქონდა დიდგორი, შემოერთებული ჰქონდა თბილისი, წინა აზიის სპარს და თურქ სულტნებს (ისე, როგორც მათ წინაპრებს) ქართველები მიაჩნდათ არა მინის მუშებად, არამედ ტყის და მთის მებრძოლებად. ასე იყო დავით აღმაშენებლის ბოლო ბრძოლის დროს, როდესაც „...მეორესა წელსა მოვიდა სულტანი შარვანს...“

მოეწერა წიგნი: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა... თუ გინდა სამალავითათ გამოვედ და მნახე“. დავითისა და ყოველთა ქართველთა გამოსვლა იყო სულთანისთვის შემდეგი: „ფრიად რამე სიმდაბლითა და არა ჭირვეულმან არ-ლა ძივენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლგარო... ღამეს გაიპარა და სასდუნით მეოტი სხვით გზით წარვიდა სოფლად თავისად“.

ხოლო ის, თუ რატომ მოიკიდა ფეხი რუსულ და საბჭოთა იმპერიაში ქართველების „მინის მუშების“ ფენომენმა, მისი ახსნა ადვილია: რუსებს კავკასიური ერები (დაპყრობიდანვე) ორი სახით ჰყავდათ წარმოადგენილი: 1) Буйный народ (მშფოთვარე ხალხი) და 2) Мирный народ (მშვიდობიანი ხალხი). აქედან გამომდინარე ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა კავკასიელი მშფოთვარე ხალხების ან განადგურებას, ან რუსეთის იმპერიიდან გასახლებას. ამის მაგალითი ბევრი გვაქვს და რადგანაც ხელისუფლებას საქართველო მიაჩნდა პლაცდარმად წინა აზიისა და კავკასიის დაპყრობისათვის, „ამ პლაცდარმზე“ მცხოვრებ ქართველებს ან არუსებდნენ, ანდა მათში მებრძოლ სულს ანადგურებდნენ. ამის ტრაგიკული მაგალითი გვაჩვენებს კომუნისტებმა. XX საუკუნის 30-იან წლებში ქართველი თავადაზნაურობა ფიზიკურად ამოჟლიტეს, ხოლო 3-იან წლებში დარჩენილი ქართველები კოლმეურნეობებში და შემდეგ აბჭოთა მეურნეობებში გამოამწყვდიეს. ამაში მათ მოიხმარეს ქართველთა ვითომ „მინის მუშების“ ლეგენდა, რაც ამ სტატიიდანაც ჩანს, რომ ასე არ იყო, თუმცა ქართველი ყოველთვის ამუშავებდა მინას და სხვას არ შეჰყურებდა ხელებში და მუდმივ ბრძოლაში იყო, მისთვის სამშობლოსთვის ბრძოლა იყო უპირველესი“ და დღეს საგანგებოა ის, რაც ხდება: მებრძოლი სული ჩაკლულია!

გოჩა ოზაიძე
ისტორიის საგნის პედაგოგი



კონფერენსია გააჩვენებელი სტუდენტებით

ტრადიციულად, მაღალკვალიფიკაციანი დონეზე, სასწავლებლის ღირსებისა და მაღალი პედაგოგიური პროფესიონალიზმის დაცვით წარმართა რუსთავის აკადემიური ქალაქში სტუდენტთა 31-ე სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ამ საგანმანათლებლო მინისტრატის თავკაცი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი აკადემიკოსი გარი ჩაფიძე უძღვებოდა.

სამდღიანი ძალზედ შთამბეჭდავი კონფერენცია სასწავლებლის სხვადასხვა საკონფერენციო დარბაზებიდან საგანგებოდ ერთერთში -ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის მრგვალ სამეცნიერო დარბაზში წარმართა, რომლის ატრიბუტიკა ინვენტარით დაწყებული, ესთეტიური კედლებით, დამთავრებული ქართული ანბანის თვალსაჩინოებით, ნამდვილ შემეცნებით-საგანმანათლებლო გარემოს წარმოადგენს იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც აქ ყოველწლიურად მოდიან სასწავლებლად და თავი მოსწონთ საკუთარი არჩევანით. მათ უყვართ სასწავლებლის ხელმძღვანელები, პედაგოგები, აქაური თავისუფალი და დემოკრატიული გარემო, დეკორატიული ეზო, დაწკრილებული აუდიტორიები და რაღა თქმა უნდა, ლექციები, რომლებიც მკაცრი გრაფიკით ტარდება.



კონფერენცია, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ გახსნა. იგი გულთბილად მიესალმა სტუდენტებს, გამარჯვება უსურვა საკონფერენციო თემების წარმოდგენით და ისიც აღნიშნა, რომ ასეთ სასწავლო ღონისძიებას დამარცხებული არავინ ჰყავს, მაგრამ უკეთესზე უკეთესი საჩუქრად მიიღებს უფლებას, ერთი კვირით ესტუმროს ბელგიას, დაათვალიეროს საპარლამენტო ქალაქი სტრასბურგი, შეხვდეს ევროპარლამენტარებს და სხვა. დაფინანსებას ასეთი გამარჯვებული სტუდენტისათვის, თვით აკადემიური ქალაქი გამოყოფს. იდეის ერთერთი ავტორი, ქალბატონი ანა ბალამწარაშვილია, რომელიც ევროპარლამენტის თანამშრომელია, ამჯერად აკადემიური ქალაქის სამეცნიერო კონფერენციას სტუმრობდა და თავისი მოსაზრებების გამოთქმით დააინტერესა სტუდენტები. ქალბატონ ანას მიმართ ახალგაზრდებმა ერთსულოვნად გამოსატყის მოწონება და ინტერესი.

შეკრებილ აუდიტორიასთან სამეცნიერო თემებით წარსდგნენ შემდეგი ფაკულტეტის სტუდენტები: ფარმაცევტის თანაშემწეები, ექთნის თანაშემწეები, დაცვა-პატრულირების დარგის სტუდენტები და ბანკის ოპერატორები.

თემათა მრავალფეროვნებამ და მრავალრიცხოვნებამ ნამდვილად დააინტერესა პედაგოგ-ლექტორთა აუდიტორია, კერძოდ: გენრიეტა აბესაძე, ნინო კაკიაშვილი, თინათინ ხაბურზანია, ეთერ ჭიპაშვილი, ნინო ცუცქერიძე, მანანა ჩხეიძე, ზურაბ ქსოვრელი, ზეინაბ ლამაზოშვილი, ეკა პაპუნაშვილი...

სწორედ ამ ლექტორთა ხელმძღვანელობით დაამუშავეს სუტდენტებმა: ჰაჯარ კასუმოვამ, ნარმინა კურბანოვამ, ლიზი მეტრეველმა, ვერონიკა კვიციანიძემ, ალვინა კასუმოვამ, ელვინა კურბანოვამ, თონათინ ტუხაშვილმა, საკინა კასუმოვამ, სამირა ხალაფოვამ, აიშან ბუდაგოვამ, რუგაია აგაევამ, ალვინა ალიევამ, სალიალი გარიბადიევამ, აიდა აბდულაევამ, სამიდა ნასრულაევამ, გულნაზ ახმედოვამ, სელინ ნასიბოვამ, მინაია სადიკოვამ, ზაბიდა გასანოვამ, ფეირუზ გაჯიევამ, რავან კასუმოვამ, ფიდან ისმაილოვამ, მაია კარაევამ, ელთუნ ისმაილოვამ, ნარმინა ახმედოვამ, სარა შხამიროვამ, ტურკან სადიკოვამ, აითან

ახმედოვამ, მარიამ გობეჯიშვილმა, აიშა ალიევამ, ისახან იბრაგიმოვამ, სოლმაზ მამედოვამ, ემილია იმანოვამ, სონა თეიმუროვამ, მარიამ გოჩოლეიშვილმა და სხვებმა სადღეისოდ აქტუალური თემები: "ორგანოთა ტრანსპლანტაცია", "ვიტამინები და მინერალები", "გირაზნობა", "დანაშაულში თანამონაწილეობა", "მიკროეკონომიკის არსი", "პოლიტიკური მეცნიერება", "გალაკტიონის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები" და სხვა.

ფრიად მაღალ დონეზე მომზადებული სტუდენტების ჯგუფი ყურადღებას იქცევდა ჩაცმის ესთეტიური, კლასიკური სტილით და აუდიტორიასთან ორატორული მანერებით. მოსმენის მაღალი კულტურით, თავაზიანობითა და მადლიერებით უფროსების მიმართ.

ამჟამად საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში 250-ზე მეტი სტუდენტი, ქართველები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები და სხვა ეროვნების ახალგაზრდებიც, მათ ერთმანეთთან საუკეთესო ურთიერთობები აქვთ. ქართველი სტუდენტები არაქართველ მეგობრებს მუდმივად ეხმარებიან ენობრივი ბარიერის დაძლევაში, საგამოცდო საგნების მომზადებისას.

ჩვენთან სტუდენტთა ერთი დიდი ოჯახია, სადაც სხვადასხვა სკოლებიდან მოსული მოსწავლეები საუკეთესო ურთიერთობებს ამყარებენ. მათ ყველაზე მეტად მოსწონთ ის, რომ ერთდროულად სკოლაშიც დადიან, დიას, ნუ გაუკვირდება მკითხველს, საგანმანათლებლო ქალაქის ხელმძღვანელმა, ოპტიმალურ ვარიანტს მიაგნო სწავლა კოლეჯში 14:00 საათის მერე იწყება, რაც საშუალებას აძლევს ზოგად საგანმანათლებლო, თუ კერძო სკოლის მოსწავლეს, კოლეჯშიც ისწავლოს და სკოლაშიც. კოლეჯში აღებული დიპლომით მუშაობა დაიწყოს სხვადასხვა პროფილის დაწესებულებაში, გვიამბობს განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ქეთევან ცისკარაშვილი და სიამაყით იმასაც დასძენს, რომ აკადემიური ქალაქში არსებული არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის კურსდამთავრებულნი დღეს რუსთავის აფთიაქებში, საავადმყოფოებში, ბანკებში, პოლიციაში მუშაობენ...

კოლეჯში ჩატარებულმა სამეცნიერო კონფერენციამ ბევრი გამარჯვებული გამოავლინა, მაგრამ როგორც ბატონმა გარი ჩაფიძემ აღნიშნა, ასეთ შემთხვევაში დამარცხებული არავინაა. თითოეულმა სტუდენტმა თავის ბიოგრაფიაში ერთი ისეთი ახალი ფურცელი ჩაწერა სამეცნიერო შრომით, რომელიც ავტორს სამუშაო პროცესში ყოველთვის დაეხმარება.

და მაინც, ცალკე უნდა ითქვას, აზერბაიჯანელი ქალბატონის, საკინა კასუმოვას შესახებ, რომე-

ლიც ამ სასწავლებელში ერთი წელია სწავლობს, იგი ოთხი შეილის დედაა, პატარა 2 თვისა ყავს და უხარია, რომ სულ ჩქარა ამ კოლეჯიდან აღებული დიპლომით მუშაობას დაიწყებს. იგი ერთერთი საუკეთესო მომზადებული სამეცნიერო თემით წარსდგა აუდიტორიის წინაშე.

ასეთი სამეცნიერო კონფერენციები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არსებულ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ყველა სასწავლო ცენტრში ჩატარდა, რისი ორგანიზებაც ცენტრიდან რუსთავის აკადემიური ქალაქის ხელმძღვანელობამ უზრუნველყო წინასწარ შედგენილი პროტოკოლის მიხედვით, შემდგომ ეტაპზე გამარჯვებულები სწორედ რუსთავში, დასკვნით სამეცნიერო ღონისძიებაზე მოიყრიან თავს და კიდევ ერთხელ გამოვლინდებიან ის წარმატებულნი, რომლებიც ამ ზაფხულს ბელგიას ესტუმრებიან...

ერთი რამ ცხადია, ასეთი საშუალო ტიპის პროფესიული სასწავლებლებში სწავლის მსურველთა რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს, ბევრი ახალგაზრდა ჩვენს ქალაქში თუ ქვემო ქართლის რეგიონში მიხვდა, რომ აქ აღებული დიპლომით უქმად არ იქნება, იმუშავებს, ხელფასს აიღებს და პიროვნული ღირსებებიც გაუასკვნდება.

სულაც არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ აკადემიური ქალაქში ყოველწლიურად არამხოლოდ ჩვენი ქალაქის ახალგაზრდები, არამედ სხვა რეგიონის ახალგაზრდებიც სტუმრობენ და არამართო თვითმფრინავის დასათვალიერებლად. მათ მართლაც აოცებთ 17 კორპუსიანი, კეთილმოწყობილი, ყვავილნარით დამშვენებული მინი-ქალაქის ხილვა და უჩნდებათ აქ სწავლის სურვილი.

ღონისძიებას ესწრებოდა ტელეკომპანია „ახალისი“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ქეთევან მიქაძე, მან მოვლენა და ფაქტი კადრებში მოაქცია და სპეციალური სატელევიზიო სიუჟეტი უძღვნა აკადემიური ქალაქში ჩატარებულ ამ ღონისძიებას.

ლია მარტაშვილი

P.S. გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. თბილისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრიდან სტუდენტთა 31-ე სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულის ვინაობა გვაცნობეს, ის პირველკურსელია -საბა იაძე, ხოლო ქ. ტყიბულის სასწავლო ცენტრში მოწინავეთა შორის მოწინავენი აღმოჩნდნენ შემდეგი სტუდენტები: ნათია არაბიძე, ზურაბ კოროშინაძე, თეონა სახელაშვილი, სოფიო წიქარიძე, ნანა ჭელიშვილი, ნინო გოგსაძე, მარიამ სამხარაძე და სხვები...

სტუდენტთა 31-სამეცნიერო კონფერენცია ქ. ოზურგეთის, ქ. ქუთაისის, ქ. თერჯოლის, ქ. დმანისის, ქ. გურჯაანის, ქ. საგარეჯოს, ქ.თელავის, ქ. ლაგოდეხის და სხვა ადმინისტრაციული ერთეულის სასწავლო ცენტრებში გრძელდება...

სტუდენტთა 32-ე სამეცნიერო კონფერენცია რუსთავის აკადემიური ქალაქში მ/წლის ივნისის თვეში გაიმართება...



ლაგოდენი

ჩვენი შემოქმედება

ცხოვრება თამაშად...

მეგონა ცხოვრებამ ფერები დაკარგა
თითქოს ყველაფერი მორჩა და გათავდა...
მერე დაქალი გამოჩნდა ისეთი,
რომელიც მოწყენის ნებასაც არ მრთავდა,
მისი პოზიტივი, მისი ხასიათი
სიტყვებს, რომ ღიმილით
სიტყვებში ართავდა...

წყენაც და წუხილიც
ცრემლიც და ტკივილიც
უცრად დამთავრდა...
როგორც, რომ ნადიმი
ესპანელ თავადთა...
ახლა ვგრძნობ დღეების
ფერთა ჰარმონიას,
იმედით ვუყურებ სიცოცხლის თამადას...
ინტერესს მიღვივებს
და ვინცე თავიდან –
ცხოვრებას თამაშად...
ცხოვრებას თამაშად...

ანია გელანია,
ლაგოდენის სასწავლო ცენტრის
ფარმაცევტის თანაშემწის სპეციალისტის
პირველი კურსის სტუდენტი

ის ჩვენი კურსდამთავრებულია!

გაიცანით
ფარმაცევტული კომპანია
„ფარმადეპოს“ მფინავე
თანამშრომელი, ჩვენი
კურსდამთავრებული
სალომე ბებნიშვილი



ის ჩვენი სტუდენტია!



გაიცანით
ლიბერთი ბანკის
მფინავე
თანამშრომელი, ჩვენი
სტუდენტი
სონა თეიმურაზა

თბილისი წარმატებული სწავლა

ახალბედა, მაგრამ მცოდნე პედაგოგიური სპექტრით, ცოდნის ეპიცენტრში მდგომი, საგანმანათლებლო სივრცის, უკვე საკუთარი ხელნერის მქონე საქართველო – უკრაინის სოციალური ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.თბილისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი, ძალზე საინტერესო სპეციალობით ყურადღების მიღმა არ ტოვებს ახალგაზრდებს, აქ პირველსავე კურსიდან თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს ავსებს, ამიტომაც უხარიათ სტუდენტებს სასწავლო ცენტრში, სადაც მათ მზრუნველ პედაგოგებთან ერთად, მათზე განპირობებული ტექნიკაც ელოდებათ, მათ იციან, რომ წარმატება შრომის გარეშე შეუძლებელია, ამიტომაც სწავლა და შრომა ქ.თბილისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის სტუდენტებისთვის ყოველდღიური ატრიბუტია.

ყველაზე პატარა მუზეუმი



– „ჩემი აზრით, იგი იყო ერთადერთი მხატვარი, რომელმაც ნამდვილი ხალხური გადმოცემის სიცოცხლით მოგვცა მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქართული ყოფა-ცხოვრება“. ასეთ შეფასებას აძლევს ქართული ეროვნული სამხატვრო გალერეის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე დიმიტრი შევარდნაძე მირზაანელ (დედოფლისწყარო) შემოქმედს ნიკოლოზ (ნიკო) ფიროსმანაშვილის, ანუ როგორც მსოფლიო იცნობს: – ნიკო ფიროსმანს...

ქ. თბილისში, 1960 წელს, ნიკო ფიროსმანის ქუჩის 29-ნომერში დაფუძნდა მისი სახელობის მუზეუმი, კიბის ქვეშ, სადაც მხატვარი – გენიოსი ცხოვრობდა... ეს მუზეუმი, ერთ-ერთი ყველაზე პატარა მუზეუმი მსოფლიოში...



დედოფლისწყარო

ახალი სასწავლო ცენტრი



ამ დღეებში, საქმიანი, ნაყოფიერი და საინტერესო შეხვედრა შედგა საქართველო – უკრაინის სოციალური ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორ, აკადემიკოს გარი ჩაფიძესა და ქალაქ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს შორის,

მხარეებმა მეგობრულ და კოლეგიურ ვითარებაში, პროტოკოლის სრული დაცვით განიხილეს მომავალი ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, რომელიც ძირითადად ქალაქ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ჩვენი ინსტიტუტის სასწავლო ცენტრის გახსნას ითვალისწინებს, ქალაქის მერი დაგვიპირდა თანადგომასა და რიგ შეღავათებს ჩვენი სტუდენტებისთვის, რამეთუ ბატონმა ნიკოლოზმა შესანიშნავად იცის, რომ რაიონში ნებისმიერი სასწავლო დაწესებულების დაფუძნება, არამარტო ახალგაზრდების ადგილზე დამაგრება, არამედ ახალი სამუშაო ადგილების და მომავლის რეალური ხედვაა...

შეხვედრას ესწრებოდნენ ქ. დედოფლისწყაროს პირველი ვიცე მერი გელა სამუკაშვილი, რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი მაკა ჯანაშვილი, რაიონის აქტივისტი სულიკო ცინცაძე, საქართველოს საპატრიარქოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ქავთარაძე, ნიჭიერ ბავშვთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი მზია ანთიძე, დიზაინერი ანრი თოდუა და სხვები.

ქ. დედოფლისწყაროში, მ/წლის სექტემბრიდან ჩვენი სასწავლებლის ეგიდით ახალი ცენტრი იფუნქციონირებს...

